თავი VII
ავტონომიური რესპუბლიკებისა და მუნიციპალიტეტებისათვის გადასაცემი ტრანსფერები

მუხლი 16. ავტონომიური რესპუბლიკებისა და მუნიციპალიტეტებისათვის გადასაცემი ტრანსფერები

1. „გორის, ამბროლაურის, მცხეთის, ოზურგეთის, თელავის, ახალციხის და ზუგდიდის მუნიციპალიტეტების შექმნის შესახებ“ საქართველოს პარლამენტის 2017 წლის 15 ივნისის N987-IIს დადგენილების საფუძველზე შექმნილი ახალი მუნიციპალიტეტებისათვის 2018 წლის გათანაბრებითი ტრანსფერი განისაზღვროს ამავე დადგენილების საფუძველზე გაუქმებული შესაბამისი მუნიციპალიტეტებისათვის „საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული გათანაბრებითი ტრანსფერის ჯამური ოდენობით.

2. საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ფორმულით 2018 წლის გათანაბრებითი ტრანსფერის გაანგარიშებისას იმ მუნიციპალიტეტს (მათ შორის ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ მუნიციპალიტეტებს), რომლისათვისაც გამოანგარიშებული გათანაბრებითი ტრანსფერი და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 77-ე მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ განსაზღვრული საგადასახადო შემოსავლის საპროგნოზო მაჩვენებელი ჯამურად ნაკლებია 2017 წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე, ემატება ზემოაღნიშნულ მაჩვენებლებს შორის სხვაობა გათანაბრებითი ტრანსფერის სახით.

3. მუნიციპალიტეტების მიერ მისაღები დაგეგმილი საკუთარი შემოსავლების მობილიზების ტენდენციის გათვალისწინებით, საქართველოს მთავრობა უფლებამოსილია ამ მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად მუნიციპალიტეტებისათვის გადასაცემი ტრანსფერის რესურსი გამოიყენოს მუნიციპალიტეტებისათვის მოკლევადიანი სესხის გასაცემად.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული მოკლევადიანი სესხის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს მუნიციპალიტეტის მიერ დაგეგმილ და ფაქტობრივად მიღებულ შემოსავლებს შორის სხვაობას, ხოლო სესხით სარგებლობის ვადა უნდა განსაზღვროს საქართველოს მთავრობამ და იგი არ უნდა სცილდებოდეს 2018 წლის 1 დეკემბერს.

5. ამ მუხლის საფუძველზე ავტონომიური რესპუბლიკებისა და მუნიციპალიტეტებისათვის გადასაცემი ტრანსფერები განისაზღვროს 720 000.0 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

ათასი ლარი

ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების დასახელება	სულ ტრანსფერი	გათანაბრებითი ტრანსფერი	მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად*	სპეციალური ტრანსფერი
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა	8,000.0			8,000.0
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი	342,968.0	342,508.0	460.0	
აჟარის მუნიციპალიტეტი	1,099.6	1,074.6	25.0	
ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტი	39,903.8	39,903.8		
ქობულეთის მუნიციპალიტეტი	6,396.4	6,396.4		
ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი	3,887.4	3,887.4		

ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების დასახელება	სულ ტრანსფერი	გათანაბრებითი ტრანსფერი	მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად*	სპეციალური ტრანსფერი
ქედის მუნიციპალიტეტი	4,519.2	4,519.2		
შუახევის მუნიციპალიტეტი	0.0	0.0		
ხულოს მუნიციპალიტეტი	1,456.0	1,456.0		
ახმეტის მუნიციპალიტეტი	5,091.5	4,961.5	130.0	
გურჯაანის მუნიციპალიტეტი	5,911.2	5,751.2	160.0	
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი	984.7	799.7	185.0	
თელავის მუნიციპალიტეტი	9,845.7	9,560.7	285.0	
ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი	6,512.6	6,292.6	220.0	
საგარეჯოს მუნიციპალიტეტი	5,960.3	5,750.3	210.0	
სიღნაღის მუნიციპალიტეტი	2,638.8	2,493.8	145.0	
ყვარლის მუნიციპალიტეტი	3,039.5	2,904.5	135.0	
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტი	25,898.0	25,678.0	220.0	
ჭიათურის მუნიციპალიტეტი	5,647.3	5,415.3	232.0	
ტყიბულის მუნიციპალიტეტი	2,775.0	2,625.0	150.0	
წყალტუბოს მუნიციპალიტეტი	5,636.8	5,466.8	170.0	
ბაღდათის მუნიციპალიტეტი	3,729.1	3,601.1	128.0	
ვანის მუნიციპალიტეტი	6,050.4	5,905.4	145.0	
ზესტაფონის მუნიციპალიტეტი	6,225.9	5,985.9	240.0	
თერჯოლის მუნიციპალიტეტი	6,193.3	6,033.3	160.0	
სამტრედიის მუნიციპალიტეტი	4,693.1	4,506.1	187.0	
საჩხერის მუნიციპალიტეტი	7,475.0	7,285.0	190.0	
ხარაგაულის მუნიციპალიტეტი	4,344.0	4,206.0	138.0	
ხონის მუნიციპალიტეტი	6,058.3	5,898.3	160.0	
ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი	1,319.8	1,059.8	260.0	
ზუგდიდის მუნიციპალიტეტი	19,537.9	19,187.9	350.0	
აბაშის მუნიციპალიტეტი	5,087.3	4,940.3	147.0	
მარტვილის მუნიციპალიტეტი	5,631.5	5,476.5	155.0	
მესტიის მუნიციპალიტეტი	2,583.4	2,458.4	125.0	
სენაკის მუნიციპალიტეტი	4,654.2	4,459.2	195.0	
ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი	4,989.0	4,817.0	172.0	
წალენჯიხის მუნიციპალიტეტი	5,189.7	5,011.7	178.0	
ხობის მუნიციპალიტეტი	2,010.0	1,800.0	210.0	
გორის მუნიციპალიტეტი	21,011.8	20,708.8	303.0	
ქურთის მუნიციპალიტეტი	2,122.6	2,032.6	90.0	
ერედვის მუნიციპალიტეტი	1,968.1	1,923.1	45.0	
კასპის მუნიციპალიტეტი	3,690.3	3,515.3	175.0	
ქარელის მუნიციპალიტეტი	7,026.1	6,813.1	213.0	
თიღვის მუნიციპალიტეტი	1,415.9	1,385.9	30.0	
ხაშურის მუნიციპალიტეტი	7,323.0	7,098.0	225.0	
ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტი	15,322.5	14,822.5	500.0	
ბოლნისის მუნიციპალიტეტი	305.0	0.0	305.0	
გარდაბნის მუნიციპალიტეტი	260.0	0.0	260.0	

ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების დასახელება	სულ ტრანსფერი	გათანაბრებითი ტრანსფერი	მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად*	სპეციალური ტრანსფერი
დმანისის მუნიციპალიტეტი	3,860.5	3,730.5	130.0	
თეთრი წყაროს მუნიციპალიტეტი	4,111.6	3,894.6	217.0	
მარნეულის მუნიციპალიტეტი	6,188.2	5,938.2	250.0	
წალკის მუნიციპალიტეტი	1,074.7	965.7	109.0	
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი	6,429.7	6,209.7	220.0	
ოზურგეთის მუნიციპალიტეტი	9,554.0	9,301.0	253.0	
ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი	2,260.4	2,077.4	183.0	
ადიგენის მუნიციპალიტეტი	3,377.5	3,240.5	137.0	
ასპინძის მუნიციპალიტეტი	526.0	400.0	126.0	
ახალქალაქის მუნიციპალიტეტი	215.0	0.0	215.0	
ახალციხის მუნიციპალიტეტი	5,831.0	5,561.0	270.0	
ბორჯომის მუნიციპალიტეტი	190.0	0.0	190.0	
ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი	2,078.5	1,913.5	165.0	
ახალგორის მუნიციპალიტეტი	2,413.3	2,323.3	90.0	
დუშეთის მუნიციპალიტეტი	3,591.7	3,484.7	107.0	
თიანეთის მუნიციპალიტეტი	3,360.2	3,224.2	136.0	
მცხეთის მუნიციპალიტეტი	2,923.0	2,555.0	368.0	
ყაზბეგის მუნიციპალიტეტი	85.0	0.0	85.0	
ამბროლაურის მუნიციპალიტეტი	6,941.5	6,801.5	140.0	
ლენტეხის მუნიციპალიტეტი	2,821.5	2,716.5	105.0	
ონის მუნიციპალიტეტი	3,044.0	2,941.0	103.0	
ცაგერის მუნიციპალიტეტი	4,733.7	4,575.7	158.0	
სულ	**720,000.0**	**700,230.0**	**11,770.0**	**8,000.0**

შენიშვნა (*): დელეგირებულ უფლებამოსილებებს განეკუთვნება „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“, „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“, „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“, „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“, „სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ“, „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ და სხვა საქართველოს კანონებით განსაზღვრული უფლებამოსილებებით გათვალისწინებულ ღონისძიებათა დაფინანსება.